

ქართველთა საფიცარი პატარა კახი

ყველას აქვს თავისი საყვარელი ნივთი, მათ შორის მეც. შევხედავ, თუ არა, თითოეულ მათგანს, მაშინვე მახსენდება თუ ვინ, სად, რატომ მაჩუქა და მაღლიერების გრძნობა მეუფლება ხოლმე მათ მიმართ.

ერეკლე მეფესაც ჰქონია თურმე საყვარელი ნივთების შესანახი იახტანი (სკივრი), რომელშიც საგანგებოდ ინახავდა აუცილებელ საგნებს, საყვარელი შვილებისგან მირთმეულ საჩუქრებს.

თვალწინ მიცოცხლდება თითქმის სამასი წლის წინანდელი ეპიზოდები. ერეკლე მეფის ყოველდღიური ცხოვრებიდან.

ერთი დიდი, მწვანე, ზურმუხტისფერი ფინჯანი თავისი ლამბაქით და თავსაფარებლით უყვარდა გამორჩეულად. ჩაის მიირთმევდა ყოველ დილით, შაქარ-ყინულს მიაყოლებდა და ფიქრით დამძიმებული თელავის სასახლის სარკმლიდან გასცქეროდა მზის ამობრწყინებას.

ერეკლე მეფემ ვედარ გაუძლო შინაურებისა თუ დიდებულების საყვედურებს, რაც მისი პოლიტიკის უკმაყოფილებით იყო გამოწვეული. ბევრი აუხდენელი ოცნება დარჩა შეუსრულებელი... უთანასწორო ბრძოლებს, ღალატს, ტყუილს, ვერაგობას, არაადამიანურ უბედურებებს ვერ გაუძლო ასპინძის გმირმა, ქართველთა საფიცარმა პატარა კახმა და 1798 წელს გამოეთხოვა ყველას... ლოგინად ჩავარდნილი...

...მეფის ასულმა თამარმა, ტანზე სამგლოვიარო ძაძით შემოსილმა შავი მანდილი შეისწორა და თავის ვაჟს, დავითს არჩილის ძეს უხმო...

კლიტე მიაწოდა.... სთხოვა მეფის საძინებელში ოსტატის ხელით ნაქარგ-ნაკვეთი მოზრდილი იახტანის გახსნაში დახმარებოდა. საკლიტური გახსნეს. თამარმა სათითაოდ ამოალაგა მეფე-ბატონის მიერ საგულდაგულოდ შენახული ნივთები, მათ შორის ბატონიშვილ თეკლას, ანასტასიასა და ივანეს მირთმეული. ჩაისა თუ ყავის ფინჯნები თავისი ლამბაქებით, საფარებლებით, ბროლის საშაქრეებით.

სათუთად გაწმინდა მეფის ასულმა ხამის ტილოთი ფაიფურის ჭიქები, ვერცხლის პატარა ჩაის საწურავი და თითოეულ ნივთს ეფერებოდა.

მეფეს აქვე ჩაეკეცა სხვადასხვა ქსოვილი: ოთხი-ხუთი ადლი სიგრძის წითელი ხავერდი, აბრეშუმის, მუშამბის, ბაშმაუდის დარაის და ხამის ნაჭრები, წვერის სახვევი მაუდის ხელსახოცები, ერთი უბრალო, ნახმარი დანა-ჩანგალი, ხის ჯვარი, სანთლის ნამწვი, ხუთი ფურცელი-სიგელის ქაღალდისა, აზრუმის სამაგუ (საწულე) ერთი, ცამეტი მარანდული (სპარსული) საპონი, ერთი ტანი ორფერი მაუდი, ნახმარი აბრეშუმის წინდები ორი წყვილი და სხვა.

მათი ჩამონათვალი დავით არჩილის ძემ პირწმინდად დააწერინა მდივანს და უარდაგს მიაბარა.

-ეჰ! - ამოიოხრა თამარმა - ნეტავ იმ დროს, მამავ - ბატონო...-და თვალთ მომდგარი ცრემლები სუფთა აბრეშუმის ცვირსახოცით შეიმშრალა.-როცა ერთად შემოვუსხდებოდით სუფრას შენთან ერთად და მივირთმევდით სადილ-ვანშამს. როგორ გვაკლიხარ ყველას ...

-დედა, რა დამავიწყებს, პაპამ ერთ დღით, ლოცვის ჟამს სანთელი რომ აანთო, ხელში ეს ხის ჯვარი დაიკავა, ეამბორა და მითხრა: - ამ ჯვარს დიდი ძალა აქვს, ყოველი ბრძოლის ჟამს მიცავდაო იგი. პაპა, ამ ჯვრის ძალა და მადლი შეგეწიოსო! დამლოცა - თითქოს ცრემლები ახრჩობდა დავითს.

- შენი დიდი მადლიერი იყო, შვილო, ძალიან კარდად რომ ჰპატრონობდი. ყველასგან გულნატკენი დიდ იმედებს ამყარებდა შენზე. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება სურდა, ამიტომაც გამოუცხადა იმერეთიდან მოსულთ:

„დესპანო, წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთის ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთის კავშირითა თვით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა.“

-ეჰ, ბევრი დარდი გაჰყვა ჩემს პაპას... - სარმოთქვა დავითმა და თვალები აუცრემლიანდა...

გვანცა გოგოლაძე - 14 წლის, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა. X კლასი.